საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

წარმატებული საქმე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა შშმ პირის სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე მიღებული დადგენილება

GYLA.GE

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა შშმ პირის სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

მიღებული დადგენილება

საია იცავდა შშმ პირის ინტერესებს, რომელიც სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა დააკავეს ადმინისტრაციული წესით. მის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2024 წლის 19 აპრილს ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მიმდინარეობდა უსახლკარობის პრობლემასთან დაკავშირებით მშვიდობიანი აქცია. სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები ცდილობდნენ აქციის მონაწილეებისათვის ხელი შეეშალათ პროტესტის გამოხატვაში, რა დროსაც დააკავეს შშმ პირი. მედიით გავრცელებულ კადრებში, ნათლად ჩანს, როგორ აფრთხილებენ აქციის მონაწილეები დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პოლიციელებს. მიუხედავად მითითებისა, აღნიშნული პირი მაინც დააკავეს და გადაიყვანეს ბათუმის წინასწარი მოთავსების იზოლატორში. დაკავებულის დედას, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მისი შშმ შვილის მხარდამჭერია, არ მიეცა შვილის ნახვის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ დაკავებულს საიას ადვოკატი დროებითი მოთავსების იზოლატორში შეხვედრა, თუმცა, მოგვიანებით სასამართლოში პროცესის თაობაზე ადვოკატის ინფორმირება არ მომხდარა. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს ოჯახის წევრები იზოლატორთან ელოდებოდნენ, დაკავებულის გადაყვანა სასამართლოში მოხდა მათი გვერდის ავლით და შედეგად, პროცესი ჩატარდა როგორც ადვოკატის, ისე მხარდამჭერის დასწრების გარეშე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესუალურ დარღვევას.

საქმის განხილვისას ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე არ დაინტერესებულა მხარის ჯანმრთელობის მდგომარეობით არც ვიდეო მასალის ნახვის შემდეგ და არც მაშინ როდესაც პროცესზე აშკარა გახდა, რომ პირი კითხვებს პასუხს ვერ სცემდა (ვერ იხსენებდა რატომ, რისთვის და სად დააკავეს იგი) გამოხატული ჯანმრთელობის პრობლემების გამო. საბოლოოდ, სასამართლომ მიიღო პირის სამართალდამრღვევად ცნობის გადაწყვეტილება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი. შედეგად, გაუქმდა პირველი ინსტანციის დადგენილება და საქმის ხელახლა განხილვა

დაევალა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო დადგენილებაში მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმე განიხილა საპროცესო და მატერიალური ნორმების დარღვევით. კერძოდ, პალატა მიუთითებს, რომ არ გამოკვლეულა ხომ არ არსებობდა დაკავებულის მიმართ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს თითოეული გარემოება, რაზეც მხარეები ამყარებენ თავიანთ პოზიციებს, შეაჯეროს მათი მოსაზრებები საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებით და მიღებულ გადაწყვეტილებაში ასახოს საკუთარი დასკვნები, რომლითაც იზიარებს ან უარყოფს მათ. სასამართლოს შეფასებით, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იმსჯელოს სასამართლომ ამ პირის მიმართ 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის შესახებ.